განკარგულება:**გ-63. 632324715**
თარიღი:**04/09/2023**

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციისნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების (დაწყება/დასრულება 01.02.2023-10.02.2023 და დაწყება/დასრულება 18.05.2023-25.05.2023) შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის შესაბამისად, განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო თბილისის შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1,

სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით).

1.2. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 65000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი.

1.4. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) ბიჯი განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

1.5. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.6. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი